კვირა, 31 ოკდომბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მეჩვე 1904 კვირა, 31 ოკდომბერი, 1904 წ.

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ, |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 249 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 249

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

ტელეფონი № 63. წარმოდგენა № 4.

## სახაზინო თეატრი

ოთხშაბათს, 3 ნოემბერს 1904 წ.

ქართული დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება თავ. ალექსანდრე სუმბათაშვილის ცნობილი პიესა

**ღალატი** დრამა ლეგენდა 5 მოქმ. თარმ. გრ. ყიფშიძისა. | ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი საღამოს 8 საათ.**

**მთავარ როლებს შეასრულებენ:** ნ. ჩხეიძე—ზეინაბი, ნ. გაბუნია-ცაგარლისა—ისახარ, ტასო აბაშიძე—გაიანე, ა. კარგარეთელი—რუქაია, ვ. აბაშიძე—პესო, ვ. გუნია—ოთარ-ბეგ, ივანიძე—საბა ბერი, კ. ყიფიანი—ანანია გლახა, სვიმონიძე—დათო, ჩარკვიანი—ირაკლი, სოლეიმან ხანი—შალიკაშვილი და სხვა

## გაზეთი „ივერია“

1-ლ ნომრებიდგან წლის დამლევამდე ჰღირს **2** მან. **75** კაპ. სოფლის მასწავლებელთა და ხელოსანთათვის,—1 მან. 50 კაპ.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

## ლ. დ. დონსკოისა

კვირას, 31 ოკდომბერს,

ბენეფისი და გამოსამშვიდობებელი წარმოდგენა ქ-ნ ვ. პ. ანტონოვისა.

წარმოდგენილი იქნება

I

**ლ ა კ მ ე**

ოპერა 3 მოქმ., მუსიკა დელიბსისა.

II

**დ ი ნ ო რ ა**

სცენა მე-2 მოქმედებიდგან, მუსიკა მეიერბერისა.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. გეცევიჩი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

ორშაბათს, 1 ნოემბერს,

ბენეფისი და გამოსათხოვარი წარმოდგენა ვ. ნ. პეტროვა-ზვანცევისა,

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით,

წარმოდგენილი იქნება

**კ ა რ მ ე ნ ი**

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ბიზესი.

სამშაბათს, 2 ნოემბერს,

პირველი დებიუტი ე. ა. ორიოლისა.

წარმოდგენილი იქნება

**დ ე მ ო ნ ი**

მუსიკა რუბინშტეინისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად «**ფენელლი**», ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ობერისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

დოქტორი მედიცინისა

## გ. ა. ახვერდოვი

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20.

(30—24).

## ტფილისის სათავად-აზნაურო საკრებულო.

შეუდგა ტფილისის გუბერნიის თავადთა და აზნაურთა გვარების საშთამომავლო წიგნების შედგენას. ამ ჟამად უკვე შედგენილია ქვემოდ ჩამოთვლილ გვარების შტონი: თავადთა აბაშიძეთა, აბხაზთა, აბამელიქოვთა, ავალოვთა, ამატუნოვთა, ამილახორთა, არღუთინსკი-დოლგორუკოვთა, ბაგრატიონ-მუხრან-ბატონთა, ბაგრატიონ-დავითიშვილთა, ბარათაშვილთა, ბებუთოვთა, ბეგთაბეგოვთა, ვახვახოვთა, ვეზიროვთა, გურამოვთა, ჯანდიერთა, ჯორჯაძეთა, ლიონიძეთა, მაღალოვთა, მელიქიშვილთა და მაჩაბელთა.

იმ პირთ, რომელნიც ეკუთვნიან ამ გვარებს და რომელთაც სურთ შეამოწმონ სინამდვილე და სისრულე საგვარეულო სიაში მოთავსებულ ცნობათა, სთხოვენ მიჰმართონ დეპუტატთა საკრებულოს (სოლოლაკის ქუჩა, № 10) შაბათობით 11—12 საათამდე.—

ამასთან ერთად საკრებულოს აზრად აქვს შეადგინოს, მცოდნე პირთა დახმარებით, ისტორია თავად-აზნაურთა გვარებისა.

ამის გამო ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი სთხოვს იმ პირთ, ვისაც მოეპოვება გუჯრები, სიგელები, წყალობის ქაღალდები და ძველი წერილები, მოგონებანი და სხვ. გადასცენ დეპუტატთა საკრებულოს, რომელიც თავის დროზე უკანვე დაუბრუნებს პატრონთ უკლებლივ.

დოკუმენტების წარმომადგენელთ მიეცემათ საკრებულოს მდივნის მიერ კვიტანცია დოკუმენტების მიღებისა; თვითონ დოკუმენტები-კი დაცული იქმნება განსაკუთრებულ, ცეცხლის მხრივ უვნებელ ყუთში. (5—1)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქქრაპეტიანცი.** 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** $1^{1}/_{2}$—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**გ. ა. თარხანოვი.** $7^{1}/_{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 7 საათ.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს სამკურნ. გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ეთრდანოკის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დორისმელნიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

—

**ზამთრის დასაწყისი და ჩვენი ჯარები.** კორესპონდენტი გაზეთ «რუსკოე სლოვო»-ს ბ-ნი ლოდიჟენსკი შემდეგს ამბებს იწერება მუკდენიდგამ: ბრძოლის ველზედ მოწინააღმდეგე მეომარნი, ერთი მეორეს პირდაპირ მდგარნი, მაგრა, საფუძვლიანად იკიდებენ ფეხსა. გამართეს სანგრები, გააკეთეს დიდრონი თხრილები და შემოავლეს ეკლიან მავთულის ღობეები. ორივე მხარე ისეა მომზადებული, რომ ვინც პირველი დაიწყებს დიდს ბრძოლას, უფრო მისი მდგომარეობა აქმნება გასაჭირი, უფრო მომეტებული მსხვერპლი მან უნდა შესწიროს ომსა. პუტილოვის მთის გასწვრივ რომ ორკუზიანი მთაა, იგი რამდენჯერმე ჩაგვივარდა ხელში, ზარბაზნებიც კი ავმართეთ ზედა, მაგრამ იგი ეხლა მტრის ხელშია, თან სიმაგრეებით არის შემკული ჩვენი ჯარი დღევანდელ პოზიციებს იმზადებს ზამთრის ბინათ. გაცხარებული მუშაობაა. მიწურ ქოხებს აკეთებენ. ამისთვის ძალა-უნებურად გადაჩეხეს სასაფლაოების ხეები, გადაწნეს გაოლიანის ღეროებით და ზემოდამ წააყარეს მიწა. აშკარაა, რომ ამ მიწურების გათბობას მალე შევალევთ აქაურ ხეტყეს და რომ მის გათავებისას მთელი—ახლო მახლო მიდამო ამ ქვეყნისა მოტიტვლებულ უდაბნოთ გარდიქმნება. კარგი იქმნებოდა, რომ ჩვენი ჯარი ფეინს არა სწვამდეს, რადგან თავის დროზედ იგი შეშის მაგიერობას გაგვიწევდა. სამწუხარო სურათს წარმოადგენს ის ნაწილი მანჯურიისა, სადაც ეხლა ორთავე მხრის ჯარები დგანან. ადგილ-ადგილ ჯერ ყანები არ არის მომკილი, ზოგან კი მომკილის გატანა ვერ მოუსწრიათ და ეს სარჩო ილუპება, ხელიდამ მისდის ხალხსა. სოფლები დაცარიელდა, გძელი ქარავანები ურმებისა, ხალხით გატენილი, მიისწრაფიან ქალაქებისკენ, რომ გაახწიონ თავი საშიშ ყოფაში ჩავარდნილ სამშოალო ბინას. ძონძებში გახვეული ბალღები შემსხდარან მაღლა ურმებზედ და კანკალობენ სიცივისაგან. ქარი ზუზუნებს და აყრის მათ ბუქსა და თოვლს. საშინელებაა! კარგია კიდევ, რომ ჩვენს ზარალს ვუხდით ამ საწყალ ხალხს; მაგრამ უდიერად ეპყრობიან მათ იაპონელები, რომელნიც არა თუ თითონ არას აძლევენ, არამედ ვისაც რუსის ფულს შეამჩნევენ, მაშინათვე თავს გააგდებინებენ. რა მოელით უბედურებს ახლო მერმისში, ძნელი გამოსაცნობია. გულის საკლავი ამბები მოგვდის პორტ-არტურიდამაო. (რუს. სლ.).

—

**დაჭრილთა მდგომარეობა და რაოდენობა.** გაზეთ «რუსსკოე სლოვო»-ს ხარბინიდგან შემდეგ დეპეშას აძლევს ბ-ნი ნემიროვიჩი-დანჩენკო: ამას წინად შემოღებული მორტირის ზარბაზნები სწორედ რომ საშინელებას წარმოადგენს: მთელი თვეობით საგანგებოდ ნაკეთები სანგრები და თხრილები ვერ უმაგრდებიან ამ ზარბაზნების გამანადგურებელ ცეცხლს და ყოვლად უვარგისნი ჰხდებიან. იაპონელები დაჭრილ რუსის ჯარის კაცისადმი ეხლა არ იჩენენ პირვანდელს კაცთმოყვარეობას: ბრძოლის ველიდგან მარტო თავიანთი დაჭრილები გამოჰყავთ, ჩვენებს კი იქვე სტოვებენ და აი ეს უკანასკნელნი ხშირად ცურვით მოხოხავდნენ ჩვენ ბანაკისაკენ, რომ როგორმე სასურველ შველას მიახწიონ და ქრილობა შეიხვიონ. თქმა არ უნდა, ყველა ისინი უწყალო სიკვდილის ხვედრი ჰხდებიან. მეტად მკაცრია ეხლანდელი ომი, მაგრამ მის დასახასიათებლად მივმართავ ციფრებს, რომელნიც უფრო თვალსაჩინოდ გვიხატავენ საქმეთა ნამდვილ მდგომარეობას. მარტო წითელ ჯვრის განყოფილებას გაუგზავნია ხარბინში 29 სეკდემბრიდგან მოყოლებული 9 ოკდომბრამდე 46 მატარებელი, სულ დაჭრილებით სავსე, ამათგან 2 ოკდომბერს მარტო—5,000 კაცი და 9 ოკდომბერს—7,000 კაცი. ოცდა ხუთმეტი საბარგო მატარებლით გაუგზავნიათ 26,000 დაჭრილი, ხოლო შვიდ სათბურ მატარებლით — 7,000. გზა და გზა «წითელი ჯვრის» განყოფილებებში დაუწვენიათ 900 აფიცერი, ხოლო თვით ხარბინში 1,400 მძიმედ დაჭრილი აფიცერი. იმავე «წითელ ჯვრის» ანგარიშიდგან სჩანს, რომ მუკდენში დაჭრილთათვის გაუციათ 22,506 ცხელი კერძი, ტელინში იაროსლავის ერობის რაზმს გაუცია 14,703 ცხელი კერძი, 470 ფუთი პური, 29,500 კვერცხი; კაუიანში ღვთისმშობლის რაზმს გაუცია 5,331 ცხელი კერძი, 416 ფუთი პური, 3,265 კვერცხი, გინჯილინში—13,630 ცხელი კერძი, 595 ფუთი პური, 23,545 კვერცხი; კუანჩენში ვლადიმირის რაზმს გაუცია 3,818 ცხელი კერძი, 196 ფუთი პური, 4,970 კვერცხი; ჩერნიგოვის რაზმს გაუცია იაომინში 8,427 ცხელი კერძი, 361 ფუთი პური და 15,500 კვერცხი; სუეტენში გაუცია გოლუბევს 5,600 ცხელი კერძი, ხარკოვის რაზმს—73,429 ცხელი კერძი; იმავ «წითელ ჯვრის» საჩაიეში დაჭრილთათვის 60,780 ჯერ დაულევინებიათ ჩაი, გზაში დაჭრილები შაქარსაც ატანდნენ. იაომინში მომავალი მატარებლები დიდს განსაცდელში იყვნენ: საკვები ცოტა გვქონდა, ახლო-მახლო სურსათის შოვნა შეუძლებელი იყო, შესასვენებელ პატარა სადგურზე კი წინ და წინვე დამზადებული არაფერი გვქონდა. მოგზაურობა მეტად საძნელო იყო, რადგანაც თავისუფალი სადგურები სულ ერთიანად დაჭრილებით იყო გატენილი. თვით ხარბინთან 27 საათი მოგვიხდა დგომა. მიუხედავად «წითელის ჯვრის» დაუღალავ შრომისა და მოქმედებისა დაჭრილთა მოვლას მაინც ვერ ასდიოდნენ და ისეთი შემთხვევაც კი იყო, როდესაც მატარებლებში მოთავსებული დაჭრილები მთელი დღის განმავლობაში უამელ-უსმელნი რჩებოდნენ. (რუს. სლ.).

—

**რა დღეშია წამებული პორტ-არტური.?** გაზეთ «რუს.ვედ.“-ის სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ს. კ. ხელმძვანელობს იაპონელთა ცნობებით და მოგვითხრობს პორტ-არტურის მდგომარეობის შემდეგს სამწუხარო ამბებს: 13 ოკტომბრიდამ დაიწყო გენერალმა ნოგიმ საერთო იერიში პორტ-არტურის ციხე-კოშკების და სიმაგრეებისა, მეტადრე სანშუშანის, ერლუშანისა და კიკვანშანისა. ყუმბარებს ესროდნენ უმთავრესად დიდ საზღვაო და საალყო ზარბაზნებით. პირველსავე დღეს ხსენებულ ციხეებს ნიშანში მოჰხვდა 250 ყუმბარა, რის შედეგიც იყო დანგრევა შემოვლებულ თხრილებისა და გაფუჭება სამის ზარბაზნისა. საღამოს ხანზედ ეს ციხე-კოშკები იქამდე მისუსტდა, რომ ათასში ერთხელღა ამოიღებდა ხოლმე ზარბაზანი ხმას. მტერმა ამ დღეს დაიჭირა მოწინავე სანგრები და თხრილები. ღამე ჩვენმა გარნიზონმა შეაკეთა და შეღესა განგრეული ადგილები კედლებში და თანაც იერიში მიიტანა ჩასაფრებულ იაპონელებზე, მაგრამ ვეღარ გამოაძევა იგინი დაჭერილ თხრილებიდამ. მეორე დღეს იაპონელებმა დაუშინეს ზარბაზნები ამ ციხეებსაც და უფრო კი პერეპელინის მთის სიმაგრეებსა და წაგვიხდინეს ორი დიდი ზარბაზანი და ორიც მომცრო. 15 ოკდომბერს მტერმა განაგრძო ყუმბარის სროლა და სუ-ნშინშანზედ გაგვიფუჭა ორი ზარბაზანი და ორიც პულემიოტი (ტყვიის მსწრაფლ მტყორცნელი). ამავ დღეს დაანგრიეს ყუმბარებით სამხრეთ ციხეზედ ჯარის ზოგიერთი ყაზარმა, სადაც ხალხს შეეძლო თავი შეეფარებინა, როდესაც უმთავრეს ფორტს გაუჭირდებოდა საქმე. 16 ოკდომბერს საშინელი დღე დაადგა ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის და დასავლეთის ციხეებს, რომელთაც ერთსა და იმავე დროს აუტეხა მტერმა ზარბაზნის სროლა. მარტო სამს ციხეს ნიშანში მოჰხვდა 285 ყუმბარა. ამ დღეს წაგვიხდა სამი ზარბაზანი შუაგულ ციხეზედ და რამდენიმეც პატარა სიმაგრეზედ, აგვიფეთქეს თოფის წამლის სარდაფი და დაგვიზიანეს პერეპელინის მთის თხრილები. მაგრამ ყველაზე საგრძნობელი ზარალი მოუვიდა ერლუშანს, სადაც დაანგრიეს საცხოვრებელი სახლები და გაანგრიეს შემორტყმული თხრილი ისე, რომ გზა გახსნეს ციხის კედლებისაკენ და ნაღმის გვირაბი მიიტანეს ერთ კედელთან, ააფეთქეს და ჩამოანგრიეს. 28 ოკდომბრამდე დავკარგეთ 23 ზარბაზანი, რაიცა მაგდენს არაფერს შეადგენს 400—500 ზარბაზან შორის, რომელიც ჩვენა გვაქვს პორტ-არტურში. 20 ოკდომბრიდამ აღარა ვიცით-რა ამ სიმაგრის ბედისა. თუ მეციხოვნეთა რიცხვი ძრიელ არ შემცირდა, მოსალოდნელია, რომ პორტ-არტური ჯერ კიდევ დიდხანს გაუმაგრდება მტერსა, (რუს. ვედ.).

## ახალი ამბავი

—

**სასანიტარო კომისიის კრება.** ორშაბათს, 1 ნოემბერს, საგუბერნიო გამგეობის სადგომში, გუბერნატორის თავმჯდომარეობით, მოხდება კრება ტფ. საქალაქო-სასანიტარო აღმასრულებელ კომისიისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** **ქუთაისის გიმნაზიის ახალი დირექტორი.** როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, კავკავის სავაჟო გიმნაზიის მასწავლებელი ბ-ნი ი. ი., ლეონტიევი დაუნიშნავთ ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის დირექტორად.

*** **ქარხნების რაოდენობა ტფილისში.** როგორც ანგარიშიდან სჩანს, გასულს წელს ტფილისში ყოფილა 55 საელექტრონო სადგური, 33 აგურის და კრამიტის ქარხანა, 1 კაფელის ფეჩების ქარხანა, 17 სტამბა, 5 მექანიკური სახელოსნო, 17 ხე-ტყის სახერხი, საპარკეტო და საფანერო ქარხნები, 9 ლიმონადისა, ლუდისა, არყისა და კონიაკის ქარხანა, 4 თამბაქოს ქარხანა, 3 ორთქლით მომუშავე წისქვილი, 2 საფორტეპიანო და 3 კონფეტებისა. სულ ერთიანად 182 სხვა-და-სხვა ქარხანაა.

*** **პარალელური განყოფილება.** ქალაქის საფინანსო კომისიამ შესაძლოდ სცნო დაარსოს ავლაბარში კლასიკურ გიმნაზიის 1 კლასის პარალელური განყოფილება ორის მოსამზადებელის განყოფილებით.

*** **ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ახალი ზედამხედველი.** როგორც «ცნობ. ფურ.» გადმოგვცემს, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დაუნიშნავთ სტავროპოლელი მღვდელი მ. ნეფედიევი.

*** **ხანგრძლივ პატიმრობის შემდეგ.** გაზ. „რუსკია ვედომოსტი“ იუწყება, რომ შლისსელბურგის ციხიდგან გაუნთავისუფლებიათ და გაუგზავნიათ ქ. არხანგელსკში საცხოვრებლად ვერა ფიგნერი, რომელიც 2 წელიწადს სხვა-და-სხვა საქმეთათვის გამოძიების დასრულებამდე სატუსაღოში იჯდა, ხოლო 1883 წელს აქეთ შლისსელბურგის ციხეში იმყოფებოდა. ქ-ნი ვ. ფიგნერი ამ ჟამად 52 წლისაა. მისი ძმა არის ჩვენშიაც კარგად ცნობილი სახელგანთქმული არტისტი, მისის უდიდებულესობის სოლისტი ნ. ნ. ფიგნერი.

*** **ახალი სამარხა კასა.** ბათომში ამ დღეებში აარსებენ ახალს სამარხ კასას, რომელსაც აზრად ექნება წევრთ შესაფერი დახმარება აღმოუჩინოს დამარხვის დროს.

*** **ხმოსნების დაუსწრებლობა.** ბათომის გუბერნატორი ამას წინად დაეკითხა იმავე ქალაქის გამგეობას, რა ღონისძიებას ჰხმრობთ, როდესაც, თანახმად ქალაქის დებულების 60 და 61 მუხლისა, ხმოსნები ბეჯითად არ ესწრებიან კრებას; როგორც «ჩერნომ. ვესტ.»-ი გადმოგვცემს, ასეთი შეკითხვა გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ ბათომის ხმოსნები ძალიან უფრთხიან ამ უკანასკნელ ხანებში საბჭოს დარბაზს.

*** **ხოლერით გარდაცვალებული ტფილისში.** ოფიციალურის ცნობებით, 24 ოკდომბერს, ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში მიუღიათ ერევნიდან ჩამოსული ერთი ავადმყოფი, რომელსაც ხოლერა აღმოაჩნდა. ავადმყოფი მეორე დღესვე გარდაიცვალა.

*** **კავკასიის სამედიცინო სამკურნალო საზოგადოების** მორიგი კრება დანიშნულია სამშაბათს, 2 ნოემბერს, სხვათა შორის, კრებაზედ წაიკითხავენ მოხსენებას სხვა-და-სხვა ავადმყოფობათა შესახებ ექიმები გრ. დიმ· გაბაშვილი და ვ. ლ. მარკევიჩი.

*** **აგაზაკების მოკვლა.** როგორც «ნოვოე ობოზრენიე»-ს ატყობინებენ სიღნაღიდან, ამას წინად მოუკლავთ იქითკენ ყაჩაღი ასან მაშადი-მახმედ ცასან-ოღლი და ალი-სონბიკ-ოღლი, რომელნიც ცნობილ დელი-ალის ბრბოში ირიცხებოდნენ.

*** **ქართულ დრამის ამხან. კრება.** დღეს, კვირას, 31 ოკდომბერს, ქართულ თეატრის შენობაში, საღამოს რვა საათზედ დანიშნულია ქართულ დრამის ამხანაგობის საგანგებო კრება. კრებას საგნად აქვს განიხილოს და გამოარკვიოს სხვა და სხვა კითხვები, რომელნიც ქართულ წარმოდგენების გამართვა-მოწყობამ წამოაყენა და რომელთა განხილვა დაუყოვნებლივაა საჭირო. ამხანაგობას ძნელი საქმე აქვს ნაკისრი წელს, მაგრამ, იმედია, სიძნელეს არ შეუშინებია და არ გამოიჩენს ქართულ თეატრის მიმართ მხოლოდ ლამაზ სიტყვებში გახვეულ გულ-შემატკივრობას, როგორც ეს საერთოდ ჩვენებურ საზოგადო საქმეს სჩვევია. ამიტომ საჭიროა კრებას, რაც შეიძლება, მეტი წევრი დაესწროს.

## ნაციონალური საჩუქარი.

განათლებულს ქვეყნებში ერთი მშვენიერი ჩვეულება არსებობს გამოჩენილის მამულიშვილების დასასაჩუქრებლად. ეს ჩვეულება იმაში მდგომარეობს, რომ გამართვენ ხოლმე საჯაროდ ხელის მოწერასა, შეაგროვებენ თანხას და საჩუქრად მიართმევენ სახელოვანს მოღვაწესა. ამას უწოდებენ ნაციონალურს საჩუქარსა. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ პოლონელ ბელეტრისტის სენკევიჩის მაგალითი. ეს მაღალ ნიჭიერი მწერალი შეძლებელი მემამულეა და, ამას გარდა, თავისის კალმით, რომლის ნაწარმოებიც აუარებელის რაოდენობით იყიდება პოლონეთში და სხვა ქვეყნებშიაც, დიდი სიმდიდრე შეიძინა. მიუხედავად ამისა, შარშან პოლონელებმა ხელის მოწერით შეაგროვეს დიდ-ძალი ფული, იყიდეს არისტოკრატული სასახლე მარნით, რომელშიაც ჩინებული ღვინით სავსე ქვევრები იყო, და თავის სახელოვანს მამულიშვილს მიართვეს, როგორც ნაციონალური საჩუქარი.

ცხადია, თუ რამდენად უნდა ეხმარებოდეს ეს საუცხოვო ჩვეულება საქვეყნო მოღვაწეობის გაძლიერებას, მამულიშვილობის აღორძინებასა.

ჩვენში ჯერ ეს ჩვეულება შემოღებული არ არის, ნაციონალურის საჩუქრით საქართველოში ჯერ არავინ დაჯილდოვებულა, ვგონებ. დროა კი, რომ ეს მშვენიერი ჩვეულება გადმონერგილ იქმნას ჩვენშიაცა.

ამ ჟამად ერთი ფრიად სამწუხარო მოვლენა დაჟინებით ითხოვს ნაციონალურის საჩუქრის შემოღებას საქართველოში. რამდენისამე დღის წინად ავად გახდა მთავარი მამულიშვილი და დიდი პოეტი საქართველოისა აკაკი. თუმცა საშიშარ მდგომარეობიდგან, ყველას სასიხარულოდ. უკვე გამოვიდა, მაგრამ მისი სრული მორჩენა ითხოვს დიდს სიფრთხილეს, დიდს სიფაქიზეს, სამაგალითო მოვლასა. ოთხი ქართველი ექიმი თავს დასტრიალებს და დღე ღამე უდარაჯებს ძვირფასს ავადმყოფსა.

ავადმყოფობა არის უმთავრესად შედეგი უკიდურესის ნივთიერის გაჭირვებისა, ყოველ გვარის ნაკლულევანებისა, მოუსვენარის მდგომარეობისა. ექიმების აზრით, ჩვენის მხცოვანის მგოსნის სრულის მორჩენისათვის საჭიროა არა მარტო სამაგალითო მოვლა ამ ზამთრის განმავლობაში, არამედ წყლებზე გაგზავნა საზაფხულოდ. ეს კი მოითხოვს ბლომა ფულსა, რომელსაც სრულიად მოკლებულია აკაკი.

თუმცა ქართველები საზოგადოდ ხელმოკლენი ვართ და მდიდარნი ჩვენ შორის თითქმის არ მოიპოვებიან, მაგრამ შეერთებულის ძალით შეგვიძლიან იმოდენა თანხა მოვაგროვოთ, რომ ჩვენის საყვარელის პოეტის მორჩენაც უზრუნველ ვყოთ და შემდეგშიაც გაჭირვება და მოუსვენრობა თავიდგან ავაცილოთ.

ამასთან, უნდა ვიცოდეთ და კარგად გვახსოვდეს ორი რამ: ჯერ ერთი ესა, რომ აკაკის პოეტური ნიჭი და სიძლიერე კალმისა დღემდინ იოტისოდენადაც არ შემცირებულა, თუმცა იგი სამოცდა მეხუთე წელიწადში გადადგა, და არა ერთს უკვდავს ქმნილებას აჩუქებს კიდევ თავისს საყვარელს სამშობლოს, თუ სენს და მოუსვენრობას თავიდგან· ავაშორებთ; მეორეც ისა, რომ იმისთანა მაღალი და თავისებური ნიჭი, რომლითაც უხვად დაჯილდოვებულია აკაკი, თვით ევროპიელ ერებშიაც ძალიან იშვიათი მოვლენაა და, ვინ იცის, ეღირსება თუ არა ქართველს ერს მეორე აკაკი შემდეგ საუკუნოებში...

დიაღ, საქართველოს წმინდა მოვალეობას შეადგენს, დააარსოს თანხა აკაკისა· ამ სასიქადულო საქმეში, რასაკვირველია, სრულის თანაგრძნობით მიიღებენ მონაწილეობას არა მარტო კერძო კაცნი, არამედ ის დაწესებულებანიცა, რომელნიც წინადაც დახმარებიან აკაკის გაჭირვების დროსა.

ამით ქართველობა მოინანიებს და ნახევრობით მაინც იპატიებს იმ დიდს შეცოდებას, რომ მან ვერ მოახერხა იუბილეი გაემართნა თავისის განთქმულის პოეტისთვის, თუმცა ორმა საიუბილეო ვადამ უკვე გაიარა....

პირადად მე ამ თანხის სასარგებლოდ გადამიდვია ჩემი წვლილი—ათი თუმანი (100 მანეთი) და, გარდა ამისა, ვკისრულობ მომავალის იანვრიდგან თითო თუმანი ყოველ თვეში წარვუდგინო ხოლმე კერძო კომიტეტს, რომელიც უნდა შესდგეს ფულის მისაღებად, შესანახად და დასახარჯად თვის-თვეობით, თანახმად დანიშნულებისა.

ამ კერძო კამიტეტში უმეტესად ექიმები უნდა იყვნენ. ჩემის მხრივ ვასახელებ შემდეგს ხუთს პირსა, რომელნიც იმედია, სიხარულით იკისრებენ ამ საქმეს; ბატონთ: ექვთიმე თაყაიშვილსა, ვახტანგ ღამბაშიძეს, პეტრე კიზირიას, ალექსანდრე დიასამიძესა და ვახტანგ მუსხელაშვილს.

იაკობ გოგებაშვილი.

PS. ხელ-მოკლე ქართველებს შეუძლიანთ მიიღონ ამ სასიქადულო საქმეში მონაწილეობა ამ სახით: ამას წინად აკაკიმ გამოსცა ცალკე წიგნად თავისი თხზულება: „ჩემი თავ-გადასავალი“. დღეს გაუყიდველია ათას ხუთასი ცალი (1500). კეთილმა ქართველებმა რომ არ დაიშურონ თითო მანეთი და მთლად გაასაღონ გამოცემა, ავტორსაც დახმარებას გაუწევენ და თავის ბიბლიოთეკასაც შესძენენ ჩინებულ თხზულებას, სავსეს ცოცხალის ინტერესით.

ი. გ·

## საქართველო

### სოფ. ზემო-ნიქოზი (ქართლი).

დავალიანება.—სკოლა.—ძველი ტაძარი.

გარეგნობით ჩვენი სოფელი კოხტაა, ქვითკირის სახლებით სავსეა, მაგრამ შიგ რომ შეხვალთ, სულ სხვა სურათს დაინახავთ: ქუჩები მინგრეულ-მონგრეული, დაოღრო-ჩოღროებული და სანიტარიას ხომ ნულარ იტყვით? ყველა სახლის წინ თითო ზვინია საქონლის პატივისა. არც ხალხია აქ მდიდარი. ყველას ცხინვალელ ურიის (ცხინვალი სამის ვერსის სიშორეზეა) ან სომხის ვალი უნდა ემართოს და, დიოგენის ფარნითაც რომ მოსძებნოთ, აქ უვალო გლეხს ვერ იპოვნით. უკანასკნელი ათი თუმანი უნდა ემართოს მაინც; ოთხმოც-სამოც თუმნიანი მოვალეებიც ხშირია აქ.

ჩვენის დაქვეითების წამლად სკოლა უნდა გამხდარიყო, მაგრამ რად არის ან ისეთი სკოლა, მართლა ნაყოფიერი იყოს და სარგებლობა მოჰქონდეს, ან ისეთი მასწავლებელი, რომ სოფლის ხელმძღვანელად გამოდგებოდეს. «იფრინ·ტერეფიჩებს» სად შეუძლიანთ განიმსჭვალონ იმ სურვილით, რომელიც უკვდავ ბარათაშვილს აქვს გამოთქმული თავის ლექსში: ...„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არა·რა არგოს“.

ცოტარამ ჩვენს ტაძარზედაც უნდა ვთქვათ. როგორც მოგეხსენებათ, აქ ვახტანგ გორგასლანის-მიერ აშენებული ტაძარია (შიგ მარხია პირველ მოწამე წმ. რაჟდენი). ამ რამდენიმე წლის წინად ეს ტაძარი ყოვლად-სამღვდელო კირიონის და აწ განსვენებულ ი. დ. სულხანიშვილის თაოსნობით შეკეთებულ იქმნა. მაინც დღეს სახურავი ვერ არის მტკიცე, წვეთი ჩამოდის. ამიტომ კიდევ აპირებდა ხელ-ახლა შეკეთებას სულხანიშვილი, მაგრამ სიკვდილმა მოუსწრაფა სიცოცხლე და გამოასალმა ქვეყანას. დღეს ამ ტაძარს გულშემატკივარი, გარდა აქაურის მოძღვრისა, არავინა ჰყავს. მოძღვარმა მამა ალ. კ—ძემ რამდენჯერმე შეჰკრიბა გლეხები, გასწერა ფული, მაგრამ რადგანაც ზურგი არავინ მიჰყუდა, საქმე ისევ ისე დარჩა.

რას უყურებენ თ.-დნი ფავლენიშვილნი? ეს ტაძარი ხომ იმათ მამაპაპის სამარხია და დასაკრძალავი ადგილია? როგორც ვიცით, თითო-ოროლა შეძლებულნიც მოიპოვებიან მათ შორის. მაშ, დაიხსნან, დარღვევისაგან ეს დიდებული ნაშთი

ნელი.

## ლექსისებური

ნუ ხარ ავგული! ავგულობა სულსა ჰღუპავს. ნუ იწყევლები! წყევლა და კრულვა ბოროტებაა, ბოროტება გულსა შხამავს. ნუ ჰკიცხავ სხვას! არცა თვითონ გაიკიცხები. გიყვარდეს ყველა! შეგიყვარებს ხალხიც და ღმერთიც.

შეურაცხყოფისათვის ნუ შეურაცხჰყოფ! შეიმაგრე მწველი გულის თქმა. შურის-ძიებას ნუ აყვები, მტრობას ნუ მისდევ და შენ მოყვასზედ მოწვდენილი ბასრი ხმალი ძირს დაუშვი დაჩლუნგებული.

ვინც აიღებს მახვილს—მახვილითავე წარწყმდების!

ტასიაშვილი.

## მასარობი

სიმღერა, საბჭოში გაგონილი 11 ოკდომბერს 1904 წ.

ახ, კენჭო, კენჭო, რა ხარ შენ, კენჭო?  
უბრალო კენჭი—სხვა არაფერი!  
ხარ შენ პატარა, ცუდი გაქვს ფერი,  
მაგრამა ეხლა, ახ, კენჭო, კენჭო,  
ჩემთვის ხარ თითქმის სულ ყველაფერი!

მაყაშ—ი.

—

### ამერიკელის აჭინება.

ერთი გაზეთი შემდეგს მოგვითხრობს: ერთხელ ერთი ამერიკელი მილიონერი, რომელიც დასათვალიერებლად ლუვრის ქარვასლას უვლიდა თავის 8 წლის პატარა ქალით—შესდგა (Greuz) გრეძას სურათის წინ.

---

## ფელეტონი

—

### ერისთავის ასულს საპასუხოდ.

მეც მახსოვს ცემი!.. არ მავიწყდება  
საღამო მე იქ გატარებული!..  
რომ მაგონდება, ახლაც სიამით  
და სიტკბოებით მიღელავს გული.

შორს, შორს, მაღლობზედ დაცემულ მინდორს  
გარს შემორტყმია ხშირი ნაძვნარი,  
რომ გაუგრილოს ცხელი ზაფხული  
და დაუამოს ცივი ზამთარი.

წმინდა მდინარე, ცელქად მჩქეფარე,  
გარს შემოუვლის იმ არე-მარეს  
და თელხს უგზავნის, რომ შეარხიოს  
სულ-მოკიდებულ ყვავილს, მცენარეს.

სუყველა ერთად იმ ღრმა წყვდიადში  
უცდის... მოელის სულ-განაბული:  
მნათობი როდის აღმობრწყინდება?  
და როდის დასტვენს ტკბილად ბულბული?

და, აჰა, მართლაც მაღლა მთის წვერზე  
გადმოჯდა მთვარე, სხივ-მომფინარე;  
მიეალერსა ცას და ქვეყანას,  
ვით მეგობარი ტკბილ-მომღიმარე.

გამოიღვიძა ცამ და ქვეყანამ,  
ვერ აშორებენ ერთმანეთს თვალსა,  
და თანასწორად, თანხმობით გრძნობენ,  
შემოქმედების დიადსა ძალსა!

მაღალ ხის ძირში ბროლის ქანდაკად  
იდგა უძრავად ტურფა ასული  
და მთვარის შუქზე, მოძრავ სახეში  
გამოხატვოდა გული და სული.

და მიბნედილი მისი თვალებიც  
ბრწყინავდა, როგორც წმინდა ლამპარი!  
მაგრამ რას გრძნობდა? და რას ჰფიქრობდა?  
ის იყო ჩემთვის გაუგებარი!

ვფიქრობდი გულში: ნეტავ ეს ქალი  
რაზედა ჰფიქრობს და რა აღონებს?  
ნუ თუ ჩვენს წარსულს, აქ დავიწყებულს,  
გულ-დაწყვეტილი ოხვრით იგონებს?

ითვალისწინებს იმ ჩვენ ძველ დღეებს,  
ისე პირნათლად რომ იხდიდნენ ვალს:  
ქმრებს გასაჭირში ულელს უწევდნენ  
და უმზადებდენ გმირებს მომავალს?

ჰფიქრობს და აღთქმას სდებს გამსჭვალული,  
რომ მათ მიჰბაძოს, მათ მიემსგავსოს,  
და მით თავის მხრით, თავისდა წილად  
დღევანდელ ქალთა ნაკლი შეავსოს?

ნეტავ თუ მართლა? მაშინ ხომ მეცა  
მის წრფელ განზრახვებს მივსცემდი ბანსა,  
და როგორც სულის, ისე ხორცისაც  
მშვენიერებას ვსცემდი თაყვანსა.

მაგრამ ვაი თუ სხვა რამ აღელვებს?  
და სხვაზედ იყოს დაფიქრებული?  
და დღეს, როგორც სხვებს, ისე ამასაც  
მხოლოდ სასქვითოდ უცემდეს გული?!

მაშინ შორს ჩემგან! შორს!... შორს!..  
ოცნებავ,  
ვერ დამიმონებს მხიბლავი ძალი!..  
იქ, სადაც ქართველ ქალს ვერა ვხედავ,  
არ მრწამს შვენება და იდეალი!..

აკაკი.

### ქართველთა შორის.

სამოცდა ათი აწლები.—რაინდნი სიბნელისანი.—ალხან ს ჩალხანა მოსდევს.—ნუ თუ ეს სიზმარი არაა?

რუსული ანდაზაა—მანამ ცა არ დაიქუხებს, გლეხი პირჯვარს არ გადიწერსო. გლეხი დაბალი ღობეა და ამიტომ ანდაზაშიაც მასზედ გადამხტარან, თორემ ეს სიტყვები ყველა დაქვეითებულ ადამიანს მოუხდება, რადგან ზედაა გამოჭრილი. სევასტოპოლში დაიგრიალა ზარბაზანმა, გაანათა სიბნელით-მოსილი ჩვენი ცხოვრება, გადავიწერეთ პირჯვარი, გავახილეთ თვალები და ვნახეთ, რომ მთელ ქვეყანას გაუსწვრია ჩვენთვის, აღჭურვილი ცოდნით, გამოცდილებით და ჩვენ კი ათას ვერსზედ უკან ჩამოვრჩენილვართ, მოგვკიდებია ხავსი ენატანიობისა, ცემატყუებისა, ორპირობისა, მექრთამეობისა, ქურდობისა და მრავალ სხვა სიბილწისა. ამისთანა იარაღით ამხედრებულებს მეტი გზა აღარ დაგვრჩენოდა, თითი უნდა მოგვეხარა დაწინაურებულ მტერთა წინაშე და შევუდგომიყავით შინაურ სიბინძურის განწმენდას, ცხოვრების ვითარების შეცვლა-შეკეთებას და განათლების აღორძინებას. ერთის სიტყვით, დაგვიდგა ოქროს ხანა სამოციან წლებისა, ხანა მთელის ჩვენის სახელმწიფოს აღფრთოვანებისა. რუსეთის გამოფხიზლებამ ჩვენს პატარა სამშობლოსაც მოაყენა ნეტარი შუქი ახალის მისწრაფებისა. „სიმართლის ხმა ქვეყნად ჰქუხდა დასათრგუნვად მონობისა“ და ჩვენი აღფრთოვანებული პოეტიც მიეცა ნატვრას:

დმერთო, დმერთო, ეს ხმა ტკბილი  
გამაგონე ჩვენს მამულშიო.

პოეტის ნატვრა შესრულდა, ის ტკბილი ხმა ჩვენს ქვეყანაშიაც გაისმა, ხალხმა ამოისუნთქა მრავალის სიკეთის ხილვით. რამდენიც წინ მივდიოდით, იმდენი უფრო ცხოველდებოდა წყურვილი სულ ახალ-ახალის სიკეთისა. მაშინდელ კაცს ეგონებოდა, რომ ეხლა კი სწორედ მივადექით იმ ბილიკს, რომელიც მიგვიყვანს პირდაპირ ფართო და ძლევამოსილ გზაზედ ცხოვრების წარმატებისა და გონების განსპეტაკებისა, სადაც მათ ვეღარ შეჰბოჭავს ვერავითარი ბორკილი ბნელის მოყვარულთაო.

საუბედუროთ, მაშინდელი კაცი შესცდა. აღმოჩნდნენ ისეთი მოხერხებული ოსტატები, რომელთაც ხსენებულ ბილიკს უზრუნეს პირი ფართო გზისაკენ კი არა, არამედ ძველებურ წუმპეებისაკენ და ისეთს ტლაპოში ამოაყოფინეს თავი ქვეყნის ცხოვრებას, რომ თვით ბატონ-ყმობის ხანა სანატრელ დროებათ გაუხადეს ქვეყანას.

***

ამ საშინელ ყოფაში ჩავარდა უბედური ბედი აუარებელის ხალხისა. შევქმენით დიდი სამხედრო ძალა და არამც თუ ევროპისა აღარ გვეშინოდა, თვით ევროპამ დაიწყო ჩვენს წინ ცახცახი და სულ წარბში შემოგვყურებდა—აცა, რა გუნებაზედ არიან ჩრდილოეთის არწივნი და ხომ დაქროლვას არ გვიპირებენო. რაკი ასეთი ადგილი დავიჭირეთ ძრიელ სახელმწიფოთა შორის, ცა ქუდათ აღარ მიგვაჩნდა, დედამიწა ქალამნათ. ვინც კი გაჰბედავდა, რაიმე ცუდი დაენახა ჩვენს ცხოვრებაში, რომელიმე ლაქა ეჩვენებინა ჩვენთვის, გარეშე კაცი იქმნებოდა თუ ჩვენი საკუთარი შვილი, მაშინათვე თავში ჩავუფაჩუნებდით და კრინტს ჩავაწყვეტინებდით: «რამ გაგაგიჟა, შე უბედურო! ჩვენ რომ ცუდი რამა გვჭირდეს, განა ასეთი შიში და კრძალვა ექმნებოდა განათლებულ ქვეყნიერობას ჩვენი!» ასეთი კმაყოფილება გამეფდა ჩვენში, აზრი შესუსტდა, გრძნობა გადაგვარდა, მეცნიერების წყურვილი დიპლომის ტრფიალებამ შესცვალა, სამშობლოს სიყვარული აჩრდილად გარდიქმნა და ამ დროს ჩვენმა მეორე სახელოვანმა პოეტმა ორის შემდეგის სიტყვით დაასურათა ჩვენი უფერული და უგვანი ცხოვრება:

— მიყიდე ეს გრეძას სურათი!—უთხრა პატარამ.

— არ შეიძლება, ეს ლუვრის საკუთრებაა.

— მაშ, ლუვრი იყიდე.

— ლუვრი მთავრობისაა.

— მთავრობა იყიდე.

— შეუძლებელია, ჩემო კარგო: მთავრობა—ეგ თვით საფრანგეთია.

— მაშ საფრანგეთი იყიდე! მე სურვილი მაქვს ეს სურათი დავისაკუთრო.

---

## ბრძნული აზრები.

(ბედნიერების შესახებ).

ებრაელთ ცის მანანაც კი მობეზრდათ, თუმცა ტკბილიც იყო და გაურჯელადაც იმოვებოდა. ხოლო სხვა ხალხს ბევრი არას დროს არ მობეზრებია, რადგან იგი შრომით და ჯაფით უნდა მოეპოვა (გვერაცცი).

ჩვეულებრივ ... უცოდინარობა ნიშანია მეტად მძიმე და უბედურის სიღარიბისა (ჰამლეტი).

სევდით მოცული გული სიტყვებით ძნელადღა გამრთელდების (შილლერი).

ყველაზე უმძიმეს მონობას ჩვენი ამპარტავნობა გვაკისრებინეს ხოლმე (ლამნე).

უბედურობის დროს წარსულ ბედნიერების მოგონება ტანჯვა როდია (გვერაცცი.)

სრული უმეცრება არც ისეთი უბედურობაა, რომ კაცს ყველაზე უფრო იმისი ეშინოდეს; ცუდად გაგებული და ურიგოდ მონელებული ცოდნა ბევრად უარესი და სახიფათოა (პლატონ).

---

## რ უ ს ე თ ი

5 ნოემბრისათვის პეტერბურგის ოლქის სასამართლოში დანიშნულია გასარჩევად საქმე გლეხის კოლიაგინისა და გლეხის ქალის გლუხარიოვისა, რომელთაც ჰბრალდებათ 15,000 მანეთად ღირებულის ბრილიანტების მოპარვა მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის სტატსსეკრეტარის ვიტტეს სადგომიდგან. (რ. ს.).

— 25 ოკდომბერს მოსკოვში ჩამოსულა ერთი ჯგუფი დაჭრილთა და ავადმყოფთა ბრძოლის ველიდგან. ამ ჯგუფში 7 აფიცერი ურევია, ყველანი სულით ავადმყოფნი არიან; 131 ჯარის კაცთა შორისაც 23 სულით ავადმყოფია.

---

## ნ ა რ კ ვ ე ვ ი

«რუსკ. სლ.» შემდეგი მოგონებაა დაბეჭდილი ბ-ნ სერგეენკოსი ლ. ტოლსტოისა და ჩეხოვის შესახებ:

— ახალი მოთხრობა ა. ჩეხოვის, «დუშეჩკა!» არ გნებავთ მოისმინოთ?—უთხრა თავის სტუმრებს ტოლსტოიმ.

— გვირგვინია ხელოვნებისა, ნამდვილი გვირგვინი! — ამბობდა ტოლსტოი მოთხრობის წაკითხვის შემდეგ.

— რა საოცრად შეუთვისებია ჩეხოვს ენა და ლაპარაკი ტელეგრაფისტისა! დასათვალავების ამბავი? ის ჭეშმარიტი გრძნობა დედაკაცისა, ისეთის მოკლედ მოჭრით, ისეთის ოსტატობით გამოთქმული «დუშეჩკაში»! მშვენიერი მოთხრობაა! და როგორც ყოველს ჭეშმარიტს ხელოვნურს ქმნილებას, ამასაც შეუძლიან სხვა და სხვა ეფექტები გამოიწვიოს და თან გვლაგ მშვენიერი კი დარჩეს.

დაუწყეს ახლა შედარება მ. გორკისა და ჩეხოვს, გორკი გვერდში ამოუყენეს ჩეხოვს. ტოლსტოი არ დაეთანხმა თანამოსაუბრეთა და მხურვალედ ამტკიცებდა, რაოდენ მაღლა სდგას ჩეხოვი გორკიზე.

— არ მესმის, რად უდარებენ გორკის ჩეხოვს: ჩეხოვი, ჩემის აზრით, შეუდარებელი ხელოვანი ოსტატია. თუ მოგაგონებთ ვისმე, ისევ გიუ-დე-მოპასანს თუ მოგაგონებთ. ამას წინად კიდევ ხელ-მეორედ გადვიკითხე მთლად მისნი ნაწარმოებნი. ყველა საოცარი ნაწერია. შეხვდებათ არა-ღრმა აზრიანი ადგილები, მაგრამ მაინც ყოველივე ფრიად ლამაზია და შნოებით სავსე. ჩეხოვის შედარება ოსტატობის მხრივ არც კი შეიძლება წინანდელ ჩვენ მწერლებთან: ტურგენევთან, დოსტოევსკისთან, ან ჩემთან. ჩეხოვს თავისებური საკუთარი კალმის მოსმა აქვს, საკუთარი იერი. ჰხედავ, თითქო უწესურიგოდ თხუპნის და უსგამს ფერადებსაო, თითქო კავშირი არც კი აქვს ერთმანეთში ამ ფერადებს, განზე გაუდგები სურათს, შეჰხედავ შორიდან და ჰგრძნობ, რომ შენმა გულმა ტოკვა დაიწყო, ნათხუპნმა სურათმა დიდი და საოცარი მოქმედება იქონია. თვალ-წინ გიდგას ცოცხალი, ღრმად გულს ჩამწვდენი სურათი. აი კიდევ ერთი ნამდვილი ნიშანი იმისა, რომ ჩეხოვი ჭეშმარიტი ხელოვანი ოსტატია: ჩეხოვის ნაწერები შეიძლება რამდენჯერმე გადიკითხოთ დიდის ხალისით. პიესებს ანგარიშში არ ვაგდებ, რასაკვირველია. პიესების წერა სრულიად იმის საქმე არ არის. ლევ ტოლსტოის აზრით, ეგ პიესები ჩრდილი იყო იმის სახელისათვის, ლაქა იყო იმის დიდების შარავანდედზედ. მისი პიესები ტოლსტოის არ მოსწონდა და სრულიად არაფრად არ მიაჩნდა.

როცა ტოლსტოი ძრიელ იყო ავად ყირიმში, ჩეხოვი მივიდა სანახავად. დიდებული მწერალი სუსტად ჰგრძნობდა თავს და ბევრი ლაპარაკი აღკრძალული ჰქონდა.

მაგრამ სწორედ იმ ხანებში წაეკითხა ჩეხოვის პიესა „სამი და“. გულ-ახდილმა და პირში მთქმელმა ტოლსტოიმ მოინდომა თავისი აზრი გამოეთქვა. ეს პიესაც არ მოსწონებოდა და უნდოდა ბევრი რამ ეთქვა ჩეხოვისათვის, მაგრამ ლაპარაკი არ შეიძლებოდა.

როცა ჩეხოვმა გამოთხოვება დაუწყო, ავადმყოფმა, თითქმის ცალის ფეხით სამარეში მყოფმა მოხუცმა, ვერ შეიმაგრა თავი, მიიზიდა, მიიახლოვა ჩეხოვი, გადაჰკოცნა და გაჯავრებით ჩასჩურჩულა ყურში:

— თქვენი პიესა კიდევ მაინც ვერაფერი შვილია, გლახაა!

ამბობენ, რომ თუმცა მოხუცი მძიმე და სახუმრო არ იყო წუთიც მეტად უდიდებულესი იყო, მაინც ჩეხოვმა თავი ვერ შეიმაგრა და გაეცინა ამ სიტყვაზედ.

---

## თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა ცხინვალში. 24 ოკდომბერს დ. ცხინვალში კნ. მაკინე ამირაჯიბისა და კნ. ეკატერინე მაჩაბლის თაოსნობით სცენის მოყვარეთა მიერ გამართულ იქმნა ქართული წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზნით. წარმოადგინეს: პირველი—«რაც არ მერგება არ შემერგებაა» (ანდაზა 1 მოქმ. ვალ. გუნიასი) და მეორე—„განა ბიძიამ ცოლი შეირთო»! (კომ. 1 მოქ. ზ. ანტონოვისა). მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნნი თამარა დ. უზნაძისა, კნ. ნინა ამირაჯიბისა, ქ-ნ სოფიო ხიმშიევისა, ბ-ნნი თავ. ზაალ მაჩაბელი, კონსტ. ნოდია, ნიკ. ჩაგუნავა, სტ. ტერ-სტეფანოვი, ვას. იარალოვი, გიორ. ივანოვი და მიხეილ უზნაძე, რომლებმაც თავიანთი როლები ჩინებულად ჩაატარეს. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა და დიდ-ძალი ხალხიც დაესწრო. არ შეიძლება არ აღვნიშნო ქ-ნ თამარა უზნაძის თამაში. ეს ყმაწვილი ქალი ბევრჯელ გამოვიდა სცენაზე, დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინა, ასე რომ იმედია, თუ გარემოებამ ხელი არ შეუშალა და ამ საპატიო გზას დაადგა,—ქართულ თეატრის სამსახურს,— იგი მალე დაწინაურდება.

სურამელი.

---

## ნ ა რ ე ვ ი

### მოხერხებული ჟურნალისტი და დედოფალი.

ჰოლანდიის დედოფალი ვილჰელმინა ამას წინად მოგზაურობდა იტალიაში. ბევრი ჟურნალისტი სცდილობდა, რომ დედოფლის მოგზაურობის რაიმე ცნობა ან ამბავი მოეთავსებინა გაზეთებში, მაგრამ დედოფალი არც ერთს მათგანს არ იკარებდა ახლო და ამ მხრივ მათი ცდა ყოველთვის უნაყოფოდ რჩებოდა ხოლმე. მაგრამ, როგორც ვუწყით, ჟურნალისტისათვის არა არის რა შეუძლებელი და აუსრულებელი და, აი, ერთმა მათგანმა კიდეც მიმართა შემდეგს ხერხს. ცნობილია, რომ დედოფალს ვილჰელმინას მეტად უყვარს ღარიბები და მათი შვილები. ხშირად დედოფალი ათვალიერებს ამ უკანასკნელთავის გამართულ სასადილოებს, რომ გაიგოს, როგორ აწარმოებენ საქმესა და რაიმე ბოროტ მოქმედებას ხომ არ აქვს ადგილიო. ერთხელ, როდესაც დედოფალი ჩვეულებრივ ათვალიერებდა სასადილოს, უცებ შენიშნა, რომ კედელში რაღაც კარი იყო გამოჭრილი.

—ეს რა კარია? იკითხა დედოფალმა.

— აქ საჭმელ-სასმელს ვინახამთ— მიუგო მოახლემ.

აბა, გააღეთ, მე მინდა დავათვალიერო. მოახლემ იმ წამსვე გააღო კარი და უეცრად შიგ ვიღაც უცნობი კაცი დაინახა ატუზული.

— თქვენ შეგეძლოთ ადრევე გაგეშვათ ეს ვაჟბატონი—შენიშნა დედოფალმა მოახლეს, რომელიც მეტად გააკვირა ამ გარემოებამ, და, მივარდა რა დაუპატიჟებელ სტუმარს, შესძახა:

— ვინა ხართ, ან აქ რა გინდოდათ?

— მე ჟურნალისტი ვარ და, როგორც ჟურნალისტი, ვალდებული გახლავარ ყველგან ვიმყოფებოდე, თუ კი ამას გაზეთის საქმე მოითხოვს. მე დიდი ხანია მინდოდა თქვენი კერძო ცხოვრების შესახებ რამ დამეწერა, დედოფალო, მაგრამ თანხლების ნებას თქვენ არ მომცემდით და იძულებული გავხდი ამ ხერხისათვის მიმემართნა.

ამ სიტყვებით მდაბლად დაუკრა თავი დედოფალს, რომელმაც ღიმილით უპასუხა:

— გამომიგზავნეთ მაინც თქვენი სტატია.

---

## „ივერიის“ ფოსტა“

**ვლადიკ. გზვანელს.** მოგვიტევეთ, რომ თქვენი სურვილი ვერ შევასრულეთ. ეგ ხშირად არც მარტო ჩვენზეა დამოკიდებული და მით უფრო ნაკლებად უნდა დაგვემდუროთ.

**ფოთში. სე—ონ ზენობნიელს.** ლექსი და ნაწყვეტი არ დაიბეჭდება.

**ცხინვალში. რებუსი.** თქვენი რეცენზია მეტის-მეტად სასტიკია და... არ დაიბეჭდება.

**ფოთში. ანდრია ე—ს.** თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

---

## დ ე პ ე შ ა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

### დილის დეპეშები.

29 ოკდომბერი.

**დვინსკი.** 10 საათზე მობრძანდა ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე ამალით. ხელმწიფემ გაატარა თავის წინ საპატიო ყარაული და მიიღო სამღვდელოებისაგან ხატი, ხოლო ქალაქის თავისაგან—პურ-მარილი. ხელმწიფე იმპერატორმა მადლობა გადაუხადა და წაბრძანდა სამხედრო მეიდანზე. ხალხმა აღტაცებული «ურათი» გააცილა. $10^1/_2$ საათზე ხელმწიფე დიდ მთავარ მიხაილ ალექსანდრეს ძისა, კარის და სამხედრო მინისტრისა და ამალის თანხლებითა მივიდა ჯარებთან. ჯარმა უარშით გაიარა ხელმწიფის მადლობის ღირსი გახდა. შემდეგ ხელმწიფემ მიულოცა ომში წასვლა, უსურვა კეთილად დაბრუნება და დალოცა. გამოთხოვება გულის ამაძგერი იყო, გამოთხოვებისას ჯარის-კაცნი ფაფახებს მაღლა აგდებდნენ. ხელმწიფე მობრძანდა მატარებელთან, გამოეთხოვა ხალხს. სამეფო მატარებელი დაიძრა და ხალხმა აღტაცებულის «ურათი» გააცილა. ხელმწიფე იდგა ფანჯარასთან და მოწყალედ ეთხოვებოდა ხალხს.

**ხარბინი.** (საკ. კორესპ.) ხმაა, იაპონელნი თავის ზურგის ჯარს იცავენ ხუნხუზთა შემწეობით, რომელთაც უფროსობს გამოჩენილი ბელადი; ლიაოიანის და მის მიდამოების ადგილობრივ ჩინელ მცხოვრებთ დიდი ზარალი ეძლევათ, რაც ჩინელთა შორის დიდს უსიამოვნობას იწვევს. ამბობენ, კუროკის უქეიფობა და დიდძალი დაჭრილნი და ავადმყოფნი ხელს უშლიან იაპონელების სატევ მოქმედებასაო.

**ვარშავი.** უწესოების შესახებ გაზეთებისაგან ნაუწყები ამბები გაზვიადებულია. საქმე იმაში იყო, რომ გუშინ პეტერბურგ-ვარშავის გზის სადგურზე რაზმი სათადარიგო ჯარისა, ესე ათასამდე კაცი, არ ჩასხდნენ ულუმელო ვაგონებში. აღუთქვეს, რომ ბელოსტოკში თბილ ვაგონებში გადაგსხამთო. მატარებელმა სამი საათი დაიგვიანა.

30 ოკდომბერი

**ვარშავი.** პრივისლიანის მხარეს მობილიზაცია კარგად გათავდა. პლოცკისა და კელეცკის გუბერნიებში არა მომხდარა-რა; ვარშავისა და პეტროკოვის გუბერნიებში იყო ცოტა რამ, მაგრამ ისიც გამცილებლებისაგან და არა ჯარის-კაცთაგან. ამას გარდა დიდძალი ჯარის თავმოყრის გამო მოხდა ცოტა რამ შეშფოთება. უცხოელთა და პოლონელთა გაზეთების ნაუწყები, ვითომ არა სახუმარო შეტაკება მოუვიდათ მთავრობასაო, დასაჯერებელი არ არის.

**ჰელსინგფორსი.** ტაიინი სოვეტნიკი შაუმანი, რომელსაც სახელმწიფო ღალატი ბრალდება და რომელიც საქმის გათავებამდე გამოუშვეს, აბოდან მატარებლით მოვიდა. რკინის გზის სადგომზე იმის მოსვლამდე დიდძალი ხალხი შეიყარა და აღტაცებულის „ურას“ ძახილით დაუხვდნენ. როდესაც ვაგზალიდან წავიდა შაუმანი, დაუხვდნენ მეიდანზე «ვორტლანდის» სიმღერითა. მეორე დემონსტრაცია იმის სახლის წინ იყო.

**ჩიფუ.** (ვოლფი). როგორც ჩინელები იუწყებიან, იაპონელებს ერლუნშანი არ აუღიათ, მხოლოდ მცირე მნიშვნელოვანი პოზიციები აიღეს, რომელიც იმ ფორტის ახლო მდებარებენ.

**პარიჟი.** 29 ოკდომბერი (საკ. კორ.). შევალიემ, ინდო-ჩინეთის ჯართა უფროსმა ეს არის მიიღო წერილი თავის

---

### ადარც ნატვრა და ადარც იმედია.

შეუძლებელი იყო წარმოედგინა კაცს მეცხრამეტე საუკუნის გასულს, რომ ვინმე გაბედავდა წინააღმდეგობას განათლებისა და სწავლისას. მაგრამ თავის-თავის კმაყოფილება მაშ რას მიქვიან, თუ წარმოუდგენელიც სინამდვილეთ არ გარდაჰქმნას. დაბრკოლება დაბრკოლებაზედ წამოუყენეს ყოველ კერძო კაცს, ყოველ ამხანაგობას, ყოველს წრეს, ყოველს საზოგადოებას, ყოველს ქალაქსა და ყოველს ერობას, რომელთაც კი განიზრახეს თავიანთი წვლილი მიეტანათ განათლების ტაძარზედ. საქმე იქამდინ მივიდა, რომ არა თუ ახალ სასწავლებლების რიცხვი აღარ გამრავლდა, არამედ ძველების შეთხელებაც კი არავინ ითაკილა. სწავლა-განათლება მივიჩნიეთ რაღაც საშიშ მტრად, რომელსაც გამოვუცხადეთ მედგარი ბრძოლა. რას ვაქნევთ ამ რაღაც განათლებას, როდესაც სიბნელე უფრო სასიქადულო ძლიერებას გვანიჭებსო, და მივყევით საკმევლის კმევას წინაშე ამ სიბნელისა.

რაინდნი სიბნელისანი მეტადრე ჩვენის დიდებულის სახელმწიფოს განაპირა მხარეებზედ იყრიდნენ თავიანთ ჯავრს განათლებისას. «ხომ აღარ იშლით და სწავლისაკენ მიისწრაფით! მაშ კარგი! რაკი მაგრეა და, აჰა, ჯანი გაგვარდეთ, ისწავლეთ, მხოლოდ, აბა, თუ კარგები ხართ, მუნჯურის მეთოდით ისწავლეთო, არა და, სკოლის ხსენებასაც ველარ ჰნახავთო». ვითომ სამშობლო ენა ამოიგლიჯეთ და სხვა ენა ჩაიდგით პირშიო, ე. ი. მოახერხეთ ისა, რაც არ არის მოსახერხებელი, არ არის შესაძლებელიო. ჩვენ «ბალი, ალა» ვუთხარით და მოსაჩვენებლად დავიმუნჯეთ ენა. «სკვამკოჩას რომ ჰუჭყიანი თმა ჰქონდეს, სოფრომა რათ მოიჭრის თავის მელოტ თავსაო», გავიფიქრეთ და სკოლას არ გავექეცით.

***

ამ სახით, აღფრთოვნებულნი სამოციან წლების მადლით-მოსილ მისწრაფებით, ჩვენ გადმოვედით მეოცე საუკუნეში დამუნჯებულნი. ამასა ჰქვიან სასტიკი დაცინვა ბედისა, აი! მართალია, ეს დამუნჯება უფრო მოსაჩვენებელია, მაგრამ მაგ მოჩვენებასაც დრო უნდა. ეგ დრო მიგვდის ხელიდამ სრულებით უნაყოფოდ, მერე ეხლანდელ მდგომარეობაში, როდესაც ყოველი ადამიანი უნდა ესწრაფებოდეს, რომ ერთი წუთიც არ დაჰკარგოს, თორემ ამ წუთს ველარ გამოეკიდები უკან, ველარ მოეწევი, რადგან იმას მოსდევს მეორე წუთი და ყველა მათ თავიანთი საგანი აქვთ ხელში და, თუ არ გამოვგლიჯეთ იგი, სამუდამოდ დაკარგულია ჩვენთვის. დრო ოქროაო, იძახიან ამერიკელები და არცა სცდებიან. გარდა დროების დაკარგვისა, მოსაჩვენებელი მუნჯობა სხვაფრივაც მაზარალებელია. იჩაგრება გული, იჩაგრება გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა, და ეხლანდელ კაცს თუ კი სამშობლოსაც გამოაცლი ხელიდამ, რაღა დარჩება სანუკარად! «აღარც ნატვრა და აღარც იმედი», აღარც ადამიანური მისწრაფება. ამისთანა ყოფას თან ახლავს დარღვევა ერთობისა, ამოფხვრა გულიდამ ყოველისავე სიკეთისა, მართლიერებისა, მორიგებისა, სათნოებისა და კიდევ მრავალ სხვა ღირსებათა, რომელიც შეუმატნია ჩვენთვის სახელოვან წარსულ ცხოვრებას.

განა ამას შემდეგ უნდა გვიკვირდეს, რომ დღევანდელი ქართველი კაცი, რომლის წინაპართ შეუქმნიათ ჩვენთვის დიდებული გელათი თავისის უძვირფასესის შემკულობით,—ჰო, რომ ეს ქართველი მგლის თვალით უყურებდეს ამ განძს და წარბიც არ შეიხაროს მის დასამხობად!? განა ვისთვისმე მოულოდნელი უნდა იყოს, რომ ჩვენი რაინდული ხალხი დღეს სამარცხვინო ქურდ-ბაცაცობას და ძმათა შემაძრწუნებელ სისხლის ღვრას დასდგომია ასე თავ-აღებული?! როდესაც თვით კაცში შელახულია ადამიანის ღირსება, იმას აღარა სწამს არც სხვისი კაცობა, აღარ ენანება სხვისი წუთი-სოფელი, არად მიაჩნია სხვისი სიცოცხლე. ეს სრულებით ბუნებრივი მოვლენაა. ალხანას ჩალხანა მოსდევს. მიატოვეთ საზიზღარი ალხანა და თან გადაჰყვება უფრო საზიზღარი ჩალხანა, ცხოვრება დაწყნარდება, დონეზე დადგება და პატივს მოიპოვებს ადამიანის პიროვნება- ხოლო სადაც პიროვნების პატივია, იქ უზრუნველ ყოფილათ იგულეთ ხალხის გამოფხიზლებაც, ქვეყნის სიყვარულიც, დაცვა კაცის უფლებათა, ხელშეუხებლობა მოყვასის კუთვნილებათა და საქვეყნო განძთა. მრუდი გზა სიკეთისკენ ვერავის მიიყვანს.

> ვინც სახნავი უკუღმართად,
> მრუდად ჰხნას და ჰთესოს, ჰფარცხოს,
> ის მე პურსა ნუღარ მაჭმევს,
> რაც ამ ფქვილით გამოაცხოს.

***

გადაათვალიერეთ რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა და ყოველ სტრიქონში ამოიკითხავთ, რომ ჩვენი ხსნა მხოლოდ ხალხის განათლებაშია და განათლებულთა წეს-წყობილების შემოღებაში. აგერ გაზეთმა «რუსმა» ხელის მოწერაც კი გამართა, რომ შეადგინოს ფონდი ხალხის გასანათლებლად, და დიდი თანაგრძნობაც გამოუცხადა საზოგადოებამ სიტყვითაც და საქმითაც, იმიტომ რომ,

> ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა,
> რაზომცა დაეტარების,
> არც ცხადის ძალით წაერთმის,
> არც მალვით მოიპარების.

***

ჟურნალ-გაზეთებზე ჩამოვარდა ლაპარაკი და არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არა ვთქვა ქართულ გაზეთ «ცნობის ფურცელი»-ზედ, თუმცა იგი ჩვენთან უმძრახათ არის. ამას წინათ წავიკითხე ბ-ნ გოგიჩაიშვილის ჩინებული სტატისტიკური შენიშვნები შესახებ ხსენებულის გაზეთის გავრცელებისა ჩვენს საზოგადოებაში და ყველაზედ საამური ცნობა, რომელიც მე იქ ამოვიკითხე, იყო ის მოულოდნელი ამბავი, რომ „ცნობის ფურცელ“-ს თურმე ჰყავს ექვსი ათასი ხელის მომწერელი. მთელის რუსეთის პროვინციებში იშვიათია ასეთი გავრცელებული გაზეთი, და სიამეს ამბისას უფრო ის შეადგენს, რომ ასეთი გაზეთი ყოფილა ჩვენი ქართული გაზეთი. ეგ კიდევ არაფერი. ამ ერთის კვირის წინ შემომიტანეს „ცნობის ფურცელი“, და ჩემს თვალს ველარ დავუჯერე, ისეთი მოულოდნელი სანახაობა წარმომიდგა წინ: გაზეთი თითქმის ერთ ნახევრათ გაზრდილიყო. მერე ხომ სულ ასეთის ახოვანებისა იბეჭდება. მაგრამ როდესაც ამ გაზეთმა გუშინ წინ მომიტანა ერთი უშველებელი წიგნი საჩუქრათ, რომ მე ვკითხულობდი, წლის განმავლობაშიო ჩემს სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა, იგი ველარ დავიტიე გულში, რომ არ გამეზიარებინა ჩემის მკითხველებისათვის. მერე წიგნი და რა წიგნი: ერთს ტომათ სრული თხზულებანი დაუვიწყარის ალექსანდრე ყაზბეგისა! ნუ თუ ეს სიზმარი არაა,-მეთქი—დავეკითხე ჩემს თავსა, იმიტომ რომ ასეთი სიზმარიც კი ტკბილია და ახლა სინამდვილე რაღა უნდა ყოფილიყო!.. ბარაქალა მის გამომცემელს ეგრეთის სამსახურისათვის! ღმერთო შენითა და, იქნება, ამას იქით ჩვენც წიგნის კითხვას დავადგეთ და ახალმა სიომ ჩვენს დაჩაგრულს ქვეყანასაც დაჰბეროს...

სანო.

ამხანაგი/ გენერალ სილვესტროსაგან, რომელიც მანჯურიაში საფრანგეთის სამხედრო მისსიის უფროსია. წერილში გენერალი სილვესტრი აღტაცებულია კუროპატკინის გენიოსობითა, და ამბობს, ნიჭიერება რუსის მთავარსარდლისა აღემატება იმ დიდებას და სახელს, რომელიც იმან რუსეთში დაიმსახურაო. გენერალი ამტკიცებს, მხოლოდ თვისის გენიოსობის წყალობით კუროპატკინმა, თუმცა მტერი მეტია მის წინააღმდეგ და ცუდს გარემოებაში ჩაყენებული, მაგრამ მაინც მოახერხა და დიდი ზარალი მიაყენა იაპონელებს, ამასთან დიდი დრო მოიგო, რაც თავმდებია, რომ ის საბოლოოდ ძლევა-მოსილი დარჩება. ჩამოსთვლის-რა იმას ბევრნაირს შესანიშნავ სტრატეგიულს ოპერაციებს, სილვესტრი ამბობს, ლიაოიდან უკან დახევა დიდი სამხედრო ღვაწლია, რომელსაც წარსულში მაგალითი არა ჰქონიაო. ეს დახევა ერთს დიდებულს ადგილს დაიჭერს რუსეთის ისტორიაშიო.

### სალამოს დეპეშები.

30 ოკდომბერი.

**მუკდენი**, 28 ოკდომბერი, (რეიტერი). ყუმბარების სროლა კიდევ არის. მარჯვენა ფრთისაკენ უფრო გააფრთებული იყო, იქ რუსის ბატარეიები 27 ოკდომბერს ესროდნენ იაპონიის პოზიციებს საალყე ზარბაზნებსა, ამის გამო იაპონელებმა გადაიტანეს რავდენიმე თავისი ბატარეია სხვა ადგილას. ფიქრობენ, იაპონელნი სატევად გამზადებულნი არ არიან და მთებისაკენ იხევენო. რუსებს დიდი წარმატება იმითი მიეცათ, რომ ბოლოს ბრძოლის დროს შახესთან აიღეს ხიანი გორაკი და პუტილოვისა, რომელიც ვაკეს დასცქერის, ვაკით კი იაპონელები უნდა წამოვიდნენ.

**თიანძინი**, 30 ოკდომბერი, (რეიტ.). შეიტყეს, რუსის ფულებმა, რომელიც სინმინტინშია შესანახად, დიდი აღელვება მოახდინეს იაპონელთა შორის, ისინი, როგორც ამბობენ, ცდილობენ, როგორმე ხელში ჩაიგდონ ის ფულები. რუსები ნებას არ აძლევენ იმ ფულების გაშინჯვისას. საქმე გამწვავებამდე მივაო.

**სეული**. (რეიტერი). უფროსი კორეის პროვინციის პუკჩენისა იწერება, 50 რუსი დაეცა ადგილობრივ მეციხოვნეთა პუჩკენში, წაართვეს იარაღი და სურსათი და კაზარმებს ცეცხლი წაუკიდესო.

**ჩიფუ**. (რეიტერი). ციხის მეციხოვნენი სულით ამაღლდნენ როცა სურსათი მოუვიდათ. ამბობენ, ყველა რუსის სამხედრო გემებს ქვეშ ნაღმი დაატანესო. რუსები გემებს ააფეთქებენ, აიღებენ თუ არა იაპონელნი უკანასკნელ სიმაგრეებსაო. ვითომ სტესსელს ეთქვას, რა ფასადაც უნდა დაჯდეს, ესკადრას სულ ერთიანად დავღუპავო,

**ლონდონი**, 29 ოკდომბერი, (ვოლფი). როგორც «რეიტერის სააგ-». იუწყება, ხმა, ვითომ პორტ-არტური აპირებდეს დანებებას, გარცელებულია ბირჟაზე და არავითარი საფუძველი არა აქვსო.

**ვილნა**. საზღვარ გარეთ გავრცელებულ ხმების უარსაყოფელად, ვაუწყებთ. რომ გენერალ გრიპენბერგს არაფერი არ შემთხვევია. ის 4 ნოემბერს მიდის. ხალხი უპირობს მიართვას ძვირფასი ხატი, რომელზედაც გამოხატულია ლოტვილი მხედარი და ჯვარი, იმპერატორის კონსტანტინესი.

**მუკდენი**, 28 ოკ. (რეიტ.). 26 ოკდ. ღამე რუსებმა ესროლეს იაპონელთა ბანაკს 60 დიდი მელინიტის ყუმბარა. იაპონელებმა პასუხი არ მისცეს, ყოველ ღამ ზარბაზნების სროლაა და მებრძოლნი იძულებულნი არიან ბინა უცვალონ ზარბაზნებს. საზოგადოდ იაპონელნი უფრთხილდებიან ტყვია-წამალს და ყუმბარებს, იზოგავენ მოსალოდნელ დიდის ბრძოლისათვის. ცნობილია, რომ იაპონელებმა დიდი ზარბაზნები დადგეს შახეს სადგურზედ და რომ ხიატუნს, რომელიც პირველი სადგურია ჩრდილოეთისაკენ, უწევს ამ ზარბაზნების ყუმბარები. რუსებმა მოახერხეს დანგრევა წყალის ამოსაყვან შენობისა შახეს სადგურზედ და მით მოუსპეს ფრიად მნიშვნელოვანი სიმაღლე მიდამოთა სათვალთვალებელი. — დაურიგეს აფიცრებსა და ჯარის-კაცებს საჩუქრები, ხელმწიფე იმპერატრიცისაგან გამოგზავნილი. ამის გამო დღესასწაული გაიმართა რუსთა ბანაკში. მემუსიკეთა გუნდნი მუსიკას უკრავენ, ჯარები საკმაოდ კარგს გუნებაზედ არიან. მხედრობა ახლა უფრო შეწებებულ-შედუღებულია და ერთობილის სურვილით გამსჭვალული, ვიდრე წინად იყო და ამიტომ უფრო საშიშია მტრისათვის. საწვავ შეშის საშოვნელად ჩინელთა სახლებს კვლავ ანგრევენ მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც სროლაა და სადაც სადგომთა დანგრევა აუცილებელია. ტბილი ამინდია. ჯარის-კაცნი მზეს ეფიცხებიან. საფარ-სანგრებზე ტყუილ კაცებს აყენებენ, დაე ესროლონ იაპონელებმა, და ჰხარჯონ ტყვია-წამალიო. როგორც ხმა ისმის, აღმოსავლეთად იაპონელები საიმაძიზე წინ ვერ წავიდნენ და თავს იყრიან შუა-გულ ალაგას.

**ვენა**. ავსტრიის წითელ-ჯვრის საზოგადოებამ დაადგინა შესწიროს რუსთა და იაპონელთა წითელ-ჯვრის საზოგადოებას 100,000 კრონი ზოგი ნივთებითა და ზოგი ფულათა.

**პარიჟი**. ამერიკის ელჩმა გადასცა გარეშე საქმეთა მინისტრს ნოტა სახელმწიფოს მდივნის გეისა, რომ მოწოდებულ იქმნას ჰააგაში ახალი კონფერენციაო.

**ცეტინიე**. ალბანიაში კვლავ იფეთქა აჯანყებამ აფიცერთა შორის, რომელთაც ხუთი თვეა ჯამაგირი არ მიუღიათ,

**პეტერბურგი**. ოფიციალური დეპეშა გენ.-ლეიტენანტის სახაროვისა უმთავრესის შტაბისადმი 30 ოკდომბერის თარიღით: «29 ოკდომბერს ღამე იაპონელებმა სამის მხრიდან შეუტიეს ჩვენ მიერ დაჭერილ სოფელ ვუჩზაზინს, რომელიც ორ ვერსზეა სამხრეთად შოუიალინძიდან. იერიში უკუ-ქცეულ იქმნა. ჩვენი ზარალია ოთხი დაჭრილი მდაბიო ჯარის კაცი.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

### გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

29 ოკდომბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,60 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,35 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,52$^1/_2$ |
| ბირჟის დისკონტი | 6—7$^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 91$^7/_8$ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 89$^1/_2$ ნ. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 415$^3/_4$ ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 318 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 265$^3/_4$ წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4$^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4$^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |

### საავადმყოფოები:

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო**,—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა**.—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

**კუკიისა**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

**თვალების სამკურნალო**—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი —ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები:**

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

### სახალხო ბიბლიოთეკები.

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა».

ტ ფ ი ლ ი ს შ ი:

1) სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში. ღია არის
დილის 10—2 საათ.
საღამ. 5—7 „
კვირა-უქმეს—დილ. 11—1 „

2) ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131. ღია არის
დილით 10—2 საათ.
საღამ. 5—9 „

3) ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19
ღია არის დილით 10—2 საათ.
საღამ. 5–8 „

# განცხადებანი


იბეჭდება და ნოემბერში გამოვა

ახალი საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ნაკადული“

მოზრდილ და მცირე-წლოვან ყრმათათვის, თვეში სამი წიგნი—ორი მცირე წლოვანთათვის და ერთიც მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით. წელიწადი—1-ლ ნოემბრიდგან 1-ლ ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: მთელის წლით ერთად ორივე გამოცემა 5 მან., ცალკ-ცალკე—3 მან. ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება თითო მანეთის გამოგზავნა.

გამომცემელი ჟურნალისა
კნ. ნინო ელიზბ. ქობულოვისა.

რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა. / ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

**ადრესი**: Тифлисъ, Редакція «НАКАДУЛИ».




**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**

**„ოდობრინი“ მ. კ. ლებედევის“**

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში. (0 6—16)

## ვკისრულობ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს. (0—უ—1).

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

## ნაწერები ს. მესხისა

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

## ახალი გამოცემანი

1) **იავნანამ რა ჰქმნა?** მოთხრობა ი. გოგებაშვილისა, მეოთხე გამოცემა, მეთორმეტე ათასი, ფასი ერთი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა ოთხ კაპეიკად. ვინც ოცობით—სამ კაპეიკად.

2) **ბურჯი ეროვნებისა**, მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობით იყიდის, დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ოცობით—15 კაპეიკად.

3) **Къ вопросу о мингрельской школѣ**, მისივე, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

4) **Правда о Тифлисѣ**, მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

5) **Какъ поднять Кавказкую народн. школу**, მისივე, ფასი ექვსი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 24 კაპეიკად, ვინც ოცობით—22 კაპეიკად. (5—5).

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—24)

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“. (40—40). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილი'. 5 მოქმედ. დრამა-ლეგენდა

## ლ ა ლ ა ჭ ი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წინგნი დაეთმობა ორ აბაზად, აგრეთვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.



## სწორედ მუქთია,



იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუდდავანობით; 2) მეშის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბრელოკი** ახალი ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა. ფულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუკი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** 56 პრობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პოტსიგარი ან მეშის ჩანჩა ქამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად ბეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფელიპიანი და კომპ., ვარშავა**, 36—333

P. s. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ. 3—6—3)


Дозволено цензурою Тифлисъ 30 октября, 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи